საქართველო

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულო

2100, ქ. ზუგდიდი, ზვიად გამსახურდიას გამზ. №45

GEORGIA, SAKREBULO OF ZUGDIDI MUNICIPALITY, №45 Zv.Gamsakhurdia av. ZUGDIDI, 2100

ქ. ზუგდიდი 01.04.2022 წელი

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №28

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - „ბოტანიკური ბაღების მართვის ცენტრის" ბალანსზე არსებული ქ. ზუგდიდი, ზვ. გამსახურდიას გამზირი №1-ში მდებარე უძრავი ქონების (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №43.31.49.143) ადმინისტრაციული შენობაში განთავსებული 217,79 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართის ელექტრონული აუქციონის წესით სარგებლობაში, იჯარის ფორმით გაცემისას წლიური საიჯარო ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის შესახებ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - „ბოტანიკური ბაღების მართვის ცენტრისათვის" (ს/ნ 420423866) თანხმობის მიცემის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 106[1] მუხლის მე-10 პუნქტის, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის იურიდიული პირების ძირითადი საშუალებების გასხვისებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის, ქონების საწყისი საფასურის, ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემისას ქირის საფასურის და ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშწორების წესების დამტკიცების შესახებ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 07 დეკემბრის №94 დადგენილების მე-7 მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტების, შპს აუდიტორული ფირმა „ლაზიკა აუდიტის" 2021 წლის 13 დეკემბრის №21/377 აუდიტორული (საშემფასებლო) დასკვნის შესაბამისად და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის 25.02.2022 წლის №24-2422056142 წერილის საფუძველზე, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო **განკარგულება:**

1.მიეცეს თანხმობა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - „ბოტანიკური ბაღების მართვის ცენტრს" (ს/ნ 420423866) მის ბალანსზე არსებული ქ. ზუგდიდი, ზვ. გამსახურდიას გამზირი №1-ში მდებარე უძრავი ქონების (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი:№43.31.49.143) ადმინისტრაციული შენობაში განთავსებული 217,79 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართის პირველ სართულზე მდებარე კაფეტერია 43,02 კვ.მ, სამზარეულო ოთახი 8,95 კვ.მ, კორიდორი 6კვ.მ, დაცვის ოთახი 20 კვ.მ, მეორე სართულზე არსებული ტერასის ადმინისტრაციული შენობის ფასადის წინა მხარე 69,75 კვ.მ, ადმინისტრაციული შენობის მარჯვენა ფლიგელი 58,87კვ.მ და შენობაში უკანა შემოსასვლელი კარის მიმდებარედ სველი წერტილების მოსაწყობად გამოყოფილი ადგილი 11,2 კვ.მ ელექტრონული აუქციონის წესით სარგებლობაში, იჯარის ფორმით გაცემისას წლიური საიჯარო ქირის საწყისი საფასურის ოდენობა განისაზღვროს 54 000 (ორმოცდათოთხმეტი ათასი) ლარით.

2. განკარგულება გადაეგზავნოს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიას და ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირს ,,ბოტანიკური ბაღების მართვის ცენტრს.“

3. განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ზუგდიდი, რ. ლაღიძის ქ. №12).

საკრებულოს თავმჯდომარე **გიგა ფარულავა**

საკრებულო
SAKREBULO
220418956